

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

2019



კვლევაზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
გოგა თუშურაშვილი
ნინო მერებაშვილი

გამოქვეყნების თარიღი:

ივლისი, 2020



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

ძირითადი მიგნებები	2
შესავალი	3
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2019 წელს	4
მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია	6
2019 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა	8
ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2019	9
საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები	11
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2019	12
ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2019	13
ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები	15
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით	19
ცენტრალური საჯარო დაწესებულებები	19
საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები	23
აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და უმაღლესი საბჭო, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	25
ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები	26
სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციები	28
სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეები	29
სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა	29
საქართველოს ეროვნული არქივი	31
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	32
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2019 წლებში	33
2010-2019 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა	39
დასკვნა	40

ძირითადი მიზნები



2019 წელს 284 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 6 240 მოთხოვნიდან IDFI-იმ პასუხი მიიღო 5,180 განცხადებაზე (83%);



2019 წელს საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 6,240 მოთხოვნიდან, IDFI-იმ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო 3,480 შემთხვევაში (56%);



2019 წელს საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (24%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა შიდა აუდიტების ანგარიშების მონოდებაზე. რიგით მეორე, ყველაზე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩევლის პოზიციაზე დასაქმებული პირების ბიოგრაფიული მონაცემების (cv) და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გაცემასთან;



2019 წელს დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპებმა (74% უპასუხოდ); ხოლო, სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (91% სრულყოფილი) გუბერნატორის ადმინისტრაციების შემთხვევაში დაფიქსირდა;



2019 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით 25-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა (მათ შორის, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური);



2019 წელს, IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად შეფასდა **მთლიანად იუსტიციის სამინისტროს სისტემა და** ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **სახელმწიფო ხაზინა;**



2019 წელს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების და სახელმწიფო ხაზინის გარდა, კიდევ 12 დაწესებულება (სასაზღვრო პოლიცია და 11 ადგილობრივი თვითმმართველობის მერია ან საკრებულო) აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა;



ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ - 99% და საქართველოს პარლამენტის აპარატმა - 98,3%. ხოლო ყველაზე დაბალი იუსტიციის სამინისტრომ (4,55%) და მთავრობის ადმინისტრაციამ (27,84%);



2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ცენტრალური დაწესებულებებიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუმჯობესა ფინანსთა სამინისტრომ (+30,63%) და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (+29.92%). ხოლო ყველაზე მეტად გააუარესა მთავრობის ადმინისტრაციამ (-23,16%);



2019 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მაჩვენებელი (83%) ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია;



2018 წელთან შედარებით, 2019 წელს სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 7%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 5%-ით გაიზარდა;



2019 წელს 100%-იანი მაჩვენებლის მქონე საჯარო დაწესებულების რიცხვი წინა წელთან შედარებით დაახლოებით განახევრდა;



2019 წელს ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხები 10%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 11%-ით გაიზარდა;

შესავალი

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) 2010 წლიდან ანხორციელებს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს. IDFI-ის სისტემურმა მონიტორინგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების გამოვლენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების დანერგვაში, საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში.

2011 წელს IDFI-მ დაიწყო სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე საჯარო დაწესებულებათა შესაბამისი სიგელებით დაჯილდოება. საჯარო დაწესებულებათა ყველაზე ღია თუ დახურულ უწყებად დასახელების მრავალწლიანი პრაქტიკა, ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების

მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და საჯარო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის წახალისებას

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასებას, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოს პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. მაგალითად, IDFI-ს მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით აღრიცხული სტატისტიკური მონაცემები, სხვადასხვა წელს მოხსენიებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის ანგარიშებში. რომლებიც მიმოიხილავს ადამიანის უფლებების მდგომარეობას 200-მდე ქვეყანაში. ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების 2021 წლის ფისკალური წლის სახელმწიფო და საგარეო ოპერაციების დაფინანსების კანონპროექტის მიხედვით, საქართველოსთვის დახმარების სახით გამოყოფილი თანხის 15%-ის შეჩერება, შესაძლებელია განაპირობოს საქართველოში სხვადასხვა რეფორმის, მათ შორის გამჭვირვალობის და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო რეფორმის გატარების შეფერხებამ. კერძოდ, კანონპროექტის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ჩანოთვლილ პირობებს შორის, რომლის არშესრულების შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველოს მთავრობას დახმარების 15 პროცენტი არ გამოუყონ ერთ-ერთი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: რამდენად ეფექტიანად ახორციელებს (საქართველოს ხელისუფლება) პოლიტიკას ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, **მათ შორის, საჯარო ინფორმაციასთან წვდომის კუთხით.**

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასება 2019 წლის მონაცემებით. ანგარიში ასევე, მოიცავს საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს 2010-2019 წლებში და საჯარო დაწესებულებათა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგებს.

რეიტინგების შედგენისას გამოყენებულ იქნა IDFI-ს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასების 2011 წელს შემუშავებული მეთოდოლოგია და კრიტერიუმები*.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2019 წელს

2019 წელს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეაფასა **284 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. დაწესებულებები, სადაც IDFI-მ გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

* იხ. IDFI- ანგარიში - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2017 წელს - გვ3; გვ17.

14

ცენტრალური საჯარო დაწესებულება (საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები);

9

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, მთავრობა და სამინისტროები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობის აპარატი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია;

74

სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ი და საქვეუწყებო დაწესებულება;

28

დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);

128

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, გამგეობა, საკრებულო);

9

გუბერნატორის ადმინისტრაცია;

13

სასამართლო სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო;

9

სახელმწიფო შპს, ააიპ, სპორტული ფედერაცია და საქველმოქმედო ფონდი;

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2019 წელს IDFI-იმ 284 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა 6 240 მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა სტანდარტული კითხვების შედგენისას, IDFI-მ იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით

განსაზღვრული და პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ნუსხით, რომლის შესაბამისადაც მთელ რიგ დაწესებულებებს საკუთარ ვებ-გვერდებზე განთავსებული აქვთ კონკრეტული კატეგორიის საჯარო ინფორმაცია.*

IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ძირითადად, ეხებოდა საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ადმინისტრაციული ხარჯების და სახელმწიფო ქონების განკარგვა, საკადრო უზრუნველყოფა, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა და სხვა. კერძოდ, 2019 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:



*საჯარო დაწესებულებებს ეკისრებათ ვალდებულება დადგინდონ ნუსხით საკუთარ ელექტრონულ რესურსზე გამოაქვეყნონ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაცია. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ აქტი არეგულირებს ინფორმაციის პროაქტიული ნუსხით გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორცაა გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, გამოქვეყნების ვადები და სხვა.



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში გაგზავნილი პირდაპირი შესყიდვების მოთხოვნებზე მიღებული პასუხები

საზღვარგარეთ თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე განეული ხარჯები

ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების შესახებ ინფორმაცია

ჩამონერილი ქონების გასხვისების და განადგურების შესახებ ინფორმაცია

შიდა აუდიტების ანგარიშები

მიმდინარე და დასრულებული სასამართლო დავები

ადგილობრივ თვითმმართველობებში დამატებით გაიგზავნა შემდეგი სტანდარტული მოთხოვნები:



მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ჩამონათვალი

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებსა და შპს-ში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურების ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, სპორტული კლუბებისათვის გადარიცხული თანხები

მერის სარეზერვო ფონდიდან განეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია

საკრებულოს წევრების მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიშები

უსასყიდლოდ გადაცემული მუნიციპალური ქონება

2011 წლიდან, IDFI საჯარო დაწესებულებებში ყოველწლიურად აგზავნის ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან დაკავშირებით სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს. შედეგად მონიტორინგის ობიექტ სახელმწიფო უწყებებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა IDFI-ის სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკა. შესაბამისად, მათი მხრიდან არსებობს მზაობა მეტად სრულყოფილი პასუხები გასცენ მსგავს მოთხოვნებს ე.წ. არასტანდარტულ მოთხოვნებთან შედარებით.


არასტანდარტული მოთხოვნების ჯგუფს მიეკუთვნება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გაგზავნილი განცხადებები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ დაწესებულებების საქმიანობის სფეროს შეეხება, ასევე ის მოთხოვნები, რომლებსაც IDFI დაინტერესებული პირების მიმართვის საფუძველზე აგზავნის შესაბამის საჯარო დაწესებულებებში. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია:

პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობის ხარჯები, სპორტული ფედერაციებისათვის გამოყოფილი დაფინანსება, ვალების „განულებასთან“ დაკავშირებით ოფიციალური მიმონერის შესახებ ინფორმაცია, საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემოსული და დაკმაყოფილებული მოთხოვნები და სხვა.

2019 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

284 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 6 240 მოთხოვნიდან IDFI-იმ სრულყოფილი პასუხი მიიღო 2,825 განცხადებაზე, არასრულყოფილი - 472 მოთხოვნაზე, უარი -52 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 1,060 მოთხოვნა, ხოლო 1,831 შემთხვევაში დაწესებულებებმა შეგვატყობინეს, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებსა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტულ მაჩვენებლებში არ არის ასახული საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც ისინი არ ფლობენ მოთხოვნილ ინფორმაციას ან არ განუხორციელებიათ კონკრეტული ქმედება. შესაბამისად, 284 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 4 409 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.




დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპებმა; აღნიშნულ უწყებებს, 2019 წელს, სულ გაეგზავნათ 39 მოთხოვნა, საიდანაც 28 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

2019 წელს სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გუბერნატორის ადმინისტრაციების შემთხვევაში დაფიქსირდა. კერძოდ, მათთან გაგზავნილი 106 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 97 შემთხვევაში.

გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები დანესებულებათა სახეების მიხედვით

● სრულყოფილი
 ● არასრულყოფილი
 ● უპასუხო
 ● უარი



ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2019

2019 წელს საჯარო დანესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (24%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა შიდა აუდიტების ანგარიშების მოწოდებაზე. ხშირ შემთხვევაში საჯარო დანესებულებები შიდა აუდიტის ანგარიშების გასაჯაროებაზე უარის თქმის მიზეზად განმარტავდნენ, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგები წარმოადგენდა შიდაუნყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას და შესაბამისად, არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას. ამასთან, მიუთითებდნენ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონზე, რომლის მიხედვით შიდა აუდიტორი ვალდებულია დანესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.


IDFI-ს შეფასებით, საჯარო დანესებულებები შიდა აუდიტის ანგარიშების სრული დაფარვით, უგულვებელყოფდნენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით საჯარო დანესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, მიეკუთვნება იმ ინფორმაციის კატეგორიას რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

2017 წელს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ IDFI-ს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში, აღნიშნა რომ ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები. აღნიშნულ გადაწყვეტილება, უცვლელად დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც. .

რიგით მეორე, ყველაზე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩევლის პოზიციაზე დასაქმებული პირების ბიოგრაფიული მონაცემების (CV) და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გაცემასთან. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად, საჯარო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში აპელირებდნენ პერსონალურ მონაცემებზე, რომელსაც შეიცავდნენ მოთხოვნილი დოკუმენტები. IDFI-ს შეფასებით, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებას ამ მოთხოვნის პასუხად როგორც მინიმუმ უნდა მოეწოდებინათ მრჩევლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, პერსონალური მონაცემების დაფარვით, დაშტრიხული სახით. ხოლო, ბიოგრაფიული მონაცემების (CV) გასაჯაროებაზე უარის თქმის საფუძველი შესაძლებელია ყოფილიყო, მხოლოდ ამ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ მათი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისგან თავის შეკავება.

2019 წელს საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე, მათ ბალანსზე რიცხული ავტომობილების მიერ გავლილი კილომეტრაჟის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ხელშეკრულების საგნის და ხელფასის ოდენობის რეესტრის, ასევე, გასხვისებული და განადგურებული ამორტიზებული ქონების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნები.

მოთხოვნები, რომელიც ყველაზე მეტმა უწყებამ დატოვა უპასუხოდ



2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, ცალკეულმა უწყებებმა უპასუხოდ დატოვეს ან სამართლებრივად დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც უშუალოდ მათი საქმიანობის სპეციფიკასთან იყო დაკავშირებული.

მაგალითად:

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა IDFI-ის მოთხოვნა ტურიზმის რეკლამაზე განეული ხარჯების და ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული სტატისტიკის შესახებ;

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;

საქართველოს პროკურატურამ უპასუხოდ დატოვა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2015-2018 წლების საქმიანობის ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უპასუხოდ დატოვა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყნებიდან საქართველოში დაფუძნებული კომპანიების შესახებ ინფორმაცია;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ინსტიტუტს არ მოაწოდა რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკო ქირურგიული ოპერაციების დაფინანსების მოთხოვნით შემოსული თითოეული განცხადების მიხედვით მოთხოვნილი და დაკმაყოფილებული თანხების ჩამონათვალი;


თბილისის საქალაქო სასამართლომ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით უარი განაცხადა სამოხელეო დანაშაულებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ასლების გაცემაზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

2019 წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 6,240 მოთხოვნიდან, IDFI-იმ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო 3,480 შემთხვევაში. ამასთან, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, აღნიშნული ვადა დაირღვა 2,760 შემთხვევაში.

10 დღიანი ვადის დარღვევის მაჩვენებელი (მოიცავს უპასუხოდ დატოვებულ მოთხოვნებს)


- ვადის დაცვა
- ვადის დარღვევა



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლივი რეაგირება გულისხმობს ინფორმაციის გაცემას 3 დღის განმავლობაში, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 478. 1,735 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, 675 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი, თუმცა აღნიშნულის შემდეგ განცხადება დატოვეს უპასუხოდ ან ინფორმაცია ვადების დარღვევით გასცეს. 1,267 შემთხვევაში, არ იქნა მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია გაიცა 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 2,075 შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი ვადები დაირღვა 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშე.

10 დღიანი ვადის მოთხოვნა

- მოითხოვა 10 დღე და დაიცვა
- მოითხოვა 10 დღე და დაარღვია
- ინფორმაცია გასცა დაუყოვნებლივ
- არ მოუთხოვია 10 დღიანი ვადა და დაიცვა
- არ მოუთხოვია 10 დღიანი ვადა და დაარღვია



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2019

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2019

IDFI-ის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2019 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით 25-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა. 2019 წელს 100%-იანი მაჩვენებლის მქონე საჯარო დაწესებულების რიცხვი წინა წელთან შედარებით (42 უწყება) დაახლოებით განახევრდა.

2019 წელს 6 საჯარო დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც IDFI-ს ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი გასცა, თუმცა ინფორმაციის მოწოდებისას დაირღვა 10 დღიანი ვადა და პასუხის გაცემის ვადებზე დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით, მათმა ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 99% შეადგინა.

2019 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი შეფასება (98,3%) მიიღო

ასევე საქართველოს პარლამენტის აპარატმა, რომელმაც საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტ მოთხოვნას გასცა სრულყოფილი პასუხი, თუმცა ერთ-ერთ მოთხოვნაზე გაცემულია არასრულყოფილი პასუხი.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები

	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელში -საწვდომობა
1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური	18	18	18	100%
2. სახალხო დამცველის აპარატი	17	17	17	100%
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	17	17	17	100%
4. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი	16	16	16	100%
5. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	16	16	16	100%
6. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია	15	15	15	100%
7. საჯარო სამსახურის ბიურო	14	14	14	100%
8. ანარძოე საქართველოში	14	14	14	100%
9. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	13	13	13	100%
10. სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	13	13	13	100%
11. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	13	13	13	100%
12. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	13	13	13	100%
13. მცხეთა-მთიანეთის ვუბერნატორის ადმინისტრაცია	13	13	13	100%
14. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	13	100%
15. აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	12	12	12	100%

	მოთხოვნების რაოდენობა		სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელში -სანვდომობა
16. ველური ბუნების ეროვნული საგანძობო	12	12	12	12	100%
17. სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	12	12	12	100%
18. სახელმწიფო ტრანსპორტის საგანძობო	12	12	12	12	100%
19. აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	12	12	12	12	100%
20. ქალაქ ფოთის საკრებულო	11	11	11	11	100%
21. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	11	11	100%
22. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	11	11	100%
23. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	10	100%
24. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	10	10	10	10	100%
25. პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსაზრებითა მოზადების ცენტრი (მსაჯურებალთა პროფესიული მოზადებისა და გადამზადების ცენტრი)	10	10	10	10	100%
26. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	11	5	5	99.4%
27. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	19	19	0	0	99%
28. ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	17	17	0	0	99%
29. საგარეო საქმეთა სამინისტრო	15	15	0	0	99%
30. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	16	16	0	0	99%
31. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	0	0	99%
32. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	0	0	99%
33. საქართველოს პარლამენტის აპარატი	29	28	29	29	98,3%

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები

2011 წლიდან IDFI ტრადიციულად ასახელებს მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებებს. 2019 წელს, ერთი კონკრეტული უწყების ნაცვლად, IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად კვლავ შეფასდა **მთლიანად იუსტიციის სამინისტროს სისტემა**, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **სახელმწიფო ხაზინა**.

2019 წელს იუსტიციის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ უწყებებს სულ გაეზარდათ 328 მოთხოვნა, საიდანაც 299 მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებებიდან, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი, რომელმაც IDFI-ს მიერ გაგზავნილ ყველა მოთხოვნას სრულყოფილად უპასუხა. დანარჩენი უწყებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები 0%-დან 5%-მდე მერყეობს. მათ შორის, სამინისტროს დაქვემდებარებულმა 10-მა სსიპ-მა IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა და შესაბამისად, მათმა შეფასებამ 0%-შეადგინა. იუსტიციის სამინისტრომ 22 მოთხოვნიდან 21 უპასუხოდ დატოვა და მისმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა მხოლოდ 4.55% შეადგინა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იუსტიციის სამინისტროს სისტემა ბოლო 5 წლის განმავლობაში IDFI-ს მიერ უკვე მესამედ დასახელდა როგორც, ყველაზე დახურული. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაუარესება თვალშისაცემია 2014 წლიდან, როდესაც წინა წლის 95.6%-იანმა მაჩვენებელთან ყოველწლიურად იწყო კლება და 2014 წელს 48.4%-ს, 2015 წელს - 3.9%-ს, ხოლო 2016 - 0%-ს გაუტოლდა. 2017 წელს გარკვეული პროგრესი შეინიშნებოდა და სამინისტროს სისტემის ერთიანი მაჩვენებელი 46.28%-ს გაუტოლდა (ამ წელს უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს მაჩვენებელი 74.9%-მდე გაიზარდა), თუმცა 2018 წელს საშუალო მაჩვენებელი - 5.36%-მდე შემცირდა, ხოლო 2019 წელს - 7,94% შეადგინა.

2014 წლის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებში სულ გაიზარდა 1,928 მოთხოვნა, საიდანაც 1,509 მოთხოვნა (78.3%) უპასუხოდ იქნა დატოვებული. ამ მონაცემების გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული უწყებები განსაკუთრებულ უარყოფით როლს თამაშობენ საქართველოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელში.

ბოლო წლებში, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხზე გავლენა ვერ მოახდინა ვერც IDFI-ის მიერ მათ წინააღმდეგ წარმოებულმა სასამართლო დავებმა, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში პრეცედენტული მნიშვნელობის იყო.

მაგალითად, 2017 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჯარო ინფორმაციად იქნა ცნობილი და იუსტიციის სამინისტროს დაევალა გაეცა სამსახურებრივი ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნილი ან მიღებული წერილების ასლები, რომლებიც დაკავშირებული იყო საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. ასევე, IDFI-ის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით დაწყებული წარმოების ფარგლებში, იუსტიციის მინისტრი და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი 2017 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. 2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე, სრულად დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი და დაავალა სსიპ ეროვნულ არქივს 2018 წელს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა.

ყველაზე დახურული დანესებულებები 2019 იუსტიციის სამინისტროს სისტემა


საჯარო დანესებულება	მომხმარებლის რაოდენობა	უკასუხო	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
იუსტიციის სამინისტრო	22	21	4,55%
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	25	25	0
საკანონმდებლო მაცნე	23	23	0
ნოტარიუსთა პალატა	23	23	0
არასაკაპიტომო სასწავლო აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	23	23	0
მონაცემთა გაცვლის სააგენტო	23	23	0
იუსტიციის სახლი	23	23	0
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	23	23	0
ეროვნული არქივი	23	23	0
დანაშაულის კრევეციის ცენტრი	23	23	0
სმართ ლოჯიკი	23	23	0
აღსრულების ეროვნული ბიურო*	24	23	2,5%
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	24	23	4,17%

* გარკვეული ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით

იუსტიციის სამინისტროს სისტემის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი


● იუსტიციის სამინისტროს სისტემის საშუალო მაჩვენებელი

● იუსტიციის სამინისტრო



ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახელმწიფო ხაზინის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები 2013 წლის შემდეგ ყოველწლიურად უარესდება. 2013 წელს მისი მაჩვენებელი 83,3%-ს შეადგენდა, რაც 2017 წლამდე ეტაპობრივად 46,9%-მდე შემცირდა. სახელმწიფო ხაზინა უკვე მეორე წელია უპასუხოდ ტოვებს IDFI-ს ყველა მოთხოვნას და შესაბამისად მისი მაჩვენებელი 0%-ს შეადგენს.

საქვეუწყებო დაწესებულება სახელმწიფო ხაზინის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი



2019 წელს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების და სახელმწიფო ხაზინის გარდა, კიდევ 12 დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც სრულად უგულებელყო კანონით დაკისრებული ვალდებულება და უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ IDFI-ის ყველა განცხადება. მათ შორის არის სასაზღვრო პოლიცია. დანარჩენი 11 დაწესებულება წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მერიას ან საკრებულოს. მათ შორის, აღსანიშნავია კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელსაც წინა წელსაც 0%-იანი მაჩვენებელი ქონდა. ასევე, წინა წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა IDFI-ს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე პასუხი მოაწოდეს, მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრების წარდგენის შემდგომ. მიმდინარე წელს IDFI-ს ამ უწყებებში მსგავსი სამართლებრივი მექანიზმისთვის აღარ მიუმართავს, შედეგად IDFI-ს ყველა მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

2019 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

	მოთხოვნა	უპასუხო	შედეგი
სასაზღვრო პოლიცია	23	23	0%
ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	19	0%
კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	19	0%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	19	0%
შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	19	0%
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია	24	24	0%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია	24	24	0%
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	24	24	0%
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	24	24	0%
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	24	24	0%
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია	24	24	0%
სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია	24	24	0%

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის (პარლამენტის აპარატი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის ადმინისტრაცია და მოქმედი სამინისტროები) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 99 %, მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ამ უწყებამ, 2019 წლის განმავლობაში გაგზავნილ ყველა მოთხოვნას სრულყოფილი პასუხი გასცა, თუმცა ინფორმაცია მოწოდებულია 10 დღიანი ვადის დარღვევით. ასევე, მაღალი მაჩვენებელი აჩვენა, საქართველოს პარლამენტის აპარატმა -98,3%. პარლამენტის აპარატი წარმოადგენს ერთ-ერთ უწყებას, რომელსაც საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი მოთხოვნა (29) გაეგზავნა. IDFI-ს შეფასებით 29 მოთხოვნიდან მხოლოდ ერთ მოთხოვნაზე იყო გაცემული არასრულყოფილი პასუხი.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **მთავრობის ადმინისტრაციის (27.94%),** და **იუსტიციის სამინისტროს (4,55 %) შემთხვევებში.**

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი

საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	შარი	პასუხი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
საგარეო საქმეთა სამინისტრო	15	15	0	0	0	15	99%
საქართველოს პარლამენტის აპარატი	29	28	1	0	0	9	98,28%
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	19	18	0	1	0	8	94,60%
შრიმებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებში სახელმწიფო შინისთვის აპარატი	12	10	2	0	0	9	91,67%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	30	24	5	0	1	10	88.30%
აკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	25	19	5	1	0	10	85,16%
კრედიტების აღმინისტრაცია	22	17	3	0	2	9	83,36
რამიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	16	12	2	2	0	5	80,38%
თავდაცვის სამინისტრო	18	13	3	0	2	2	79,67%

საჯარო დაწესებულება	მომხმარებლის რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	პარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
შინაგან სამართა სამინისტრო	29	20	4	1	4	8	75,45%
განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო	46	29	7	0	10	8	70,65%
ფინანსთა სამინისტრო*	19	13	4	0	2	17	58,63%
მთავრობის ადმინისტრაცია	34	9	1	0	24	12	27,94%
იუსტიციის სამინისტრო	22	1	0	0	21	0	4,55%

* გარკვეული ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეფასებების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით

2019 წელს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუარესების თვალსაზრისით, გამორჩეულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელმაც, 2018 წლის 51.1%-იანი მაჩვენებელი 23.16%-ით გააუარესა და 27.84% შეადგინა. საქართველოს, მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაუარესება თვალშისაცემია 2016 წლიდან, როდესაც წინა წლის 91.1%-იანი მაჩვენებელი 14,7%-მდე გაუარესდა. შემდგომ წლებშიც მისი მაქსიმალური ნიშნული 51,1%-ს შეადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2016 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად ზღუდავს ადმინისტრაციის ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც გათვალისწინებულია IDFI-ს სტანდარტული შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობის ადმინისტრაცია 2014 წლის შემდეგ, ვებ-გვერდზე აღარ აქვეყნებს, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ფინანსურ ინფორმაციას.

ამ კომპლექსური ფაქტორების გათვალისწინებით, მთავრობის ადმინისტრაცია შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე დახურულ უწყებად, რომელიც მაქსიმალურად ზღუდავს მათ მიერ ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

მთავრობის ადმინისტრაციის გარდა, ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუარესეს, განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (-18%) და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (-12%).


2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუმჯობესა ფინანსთა სამინისტრომ (+30,63%) და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (+29.92%). ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაში, 2019 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სრულყოფილად გაცემული პასუხების რიცხვი, თუმცა განსაკუთრებული პრობლემები რჩება ინფორმაციის გაცემის ვადებთან დაკავშირებით.

მთელ რიგ მოთხოვნებზე სამინისტრომ, კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღის ნაცვლად, 100 დღეზე მეტი მოანდომა. შედეგად, პასუხის გაცემაზე დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით (1 თვის დაგვიანებით ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სრულყოფილ პასუხზე გათვალისწინებულია კოეფიციენტი -0,6, ხოლო არასრულყოფილ პასუხზე-0,3) მისმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა 58,63%. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო მსგავს პასუხებს წარმოადგენდა 10 დღიანი ვადის დაცვით ან 1 თვის ვადაში, წინა წელთან შედარებით პროგრესი 30%-ის ნაცვლად, დაახლოებით 50%-ით განისაზღვრებოდა.


ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იწყება 2018 წლიდან. კერძოდ, 2018 წელს წინა წლის 18,8%-იანი მაჩვენებელი 55,24%-მდე გაუმჯობესდა, ხოლო 2019 წელს 85,16%-მდე.

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც ყველაზე მეტად გააუმჯობესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- მთავრობის ადმინისტრაცია



ცენტრალური საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც ყველაზე მეტად გააუმჯობესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა



ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები

საჯარო დაწესებულება	2019	ცვლილება	2018	ცვლილება	2017	ცვლილება	2016	ცვლილება	2015
საგარეო საქმეთა სამინისტრო	99%	+1,57%	97,43%	-1,57%	99%	+5,4%	93,6%	-2%	95,6%
საქართველოს პარლამენტის აპარატი	98,28%	+15,6%	82,69%	-11,31%	94%	-6%	100%	+12%	88%
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	94,60%	-5,20%	99,8%	+14,6%	85,2%	-2,3%	87,5%	+4,2%	83,3%
შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	91,67%	-5,39%	97,06%	-0,64%	97,7%	+5,5%	92,2%	-1,8%	94%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	88,30%	-1,07%	89,37%	-7,73%	97,1%	+2,7%	94,4%	-0,1%	94,5%
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	85,16%	+29,9%	55,24%	+36,4%	18,8%	35,7%	54,5%	+43,7%	10,8%

საჯარო დაწესებულება	2019	ცვლილება	2018	ცვლილება	2017	ცვლილება	2016	ცვლილება	2015
პრეზიდენტის ადმინისტრაცია	83,36%	+12,9%	70,40%	-28,8%	99,2%	+3,3%	95,9%	-0,6%	96,5%
რამიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	80,38%	-12,2%	92,59%	9,29%	83,3%	-16,7%	100%	0%	100%
თავდაცვის სამინისტრო	79,67%	+10%	69,63%	-20,67%	90,3%	+11,4%	78,9%	+2,2%	76,7%
შინაგან საქმეთა სამინისტრო	75,47%	+3,21%	72,24%	-6,96%	79,2%	+46,2%	33%	-3,8%	36,8%
განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო	70,65%	-18%	88,64%	-6,56%	95,2%	+3,3%	91,9%	-4,5%	96,4%
ფინანსთა სამინისტრო*	58,63%	+30,6%	28,00%	+15,9%	12,1%	69,8%	81,9%	+27,7%	54,2%
მთავრობის ადმინისტრაცია	27,94%	-23,2%	51,10%	+21,9%	29,2%	+14,5	14,7%	-76,4%	91,1%
იუსტიციის სამინისტრო	4,55%	+0,7%	3,85%	-71,05%	74,9%	+74,9%	0%	-30,5%	30,5%

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

2019 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი **13-მა უწყებამ** აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 102 საჯარო დაწესებულება).

102 საჯარო დაწესებულებიდან, იმდენივე **12-მა უწყებამ** IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. მათ შორის 10 უწყება დაქვემდებარებულია იუსტიციის სამინისტროს, 1- ფინანსთა სამინისტროს, ხოლო 1- შინაგან საქმეთა სამინისტროს.

სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის საუკეთესო მაჩვენებლები

საჯარო დაწესებულება	მონტოვნიების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
სტატისტიკის ეროვნული სამსახური	18	18	0	0	0	18	100%
სახალხო დამცველის აპარატი	17	17	0	0	0	17	100%
სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	17	17	0	0	0	17	100%
ინფორმაციის საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქაბეძენი	16	16	0	0	0	16	100%
საჯარო სამსახურის ბიურო	14	14	0	0	0	14	100%
ანარმონი საქართველოში	14	14	0	0	0	14	100%
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	13	13	0	0	0	13	100%
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	13	13	0	0	0	13	100%
გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	13	13	0	0	0	13	100%
ველური ბუნების ეროვნული სააგენტო	12	12	0	0	0	12	100%
სახელმწიფო ტრანსპორტის სააგენტო	12	12	0	0	0	12	100%
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	10	10	0	0	0	10	100%
კენიტივიზირი და კორპაციის სისტემის მომსახურებათა მომსახურების ცენტრი	10	10	0	0	0	10	100%

ყველაზე არა ანგარიშვალდებული სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

საჯარო დაწესებულება	მონტოვნიების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	25	0	0	0	25	0	0%
საკანონმდებლო გენერალი	23	0	0	0	23	0	0%
ნოტარიუსთა პალატა	23	0	0	0	23	0	0%
მონაცემთა გაცვლის სააგენტო	23	0	0	0	23	0	0%
იუსტიციის სახლი	23	0	0	0	23	0	0%
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	23	0	0	0	23	0	0%
ეროვნული არქივი	23	0	0	0	23	0	0%

საჯარო დაწესებულება	მთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
დანაშაულის პრევენციის ცენტრი	23	0	0	0	23	0	0%
არასაკანონო სსპ-ს ალსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	23	0	0	0	23	0	0%
სმართ ლოჯიი	23	0	0	0	23	0	0%
სასაზღვრო პოლიცია	23	0	0	0	23	0	0%
სახელმწიფო ხაზინა	23	0	0	0	23	0	0%

აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აკარატი და უმაღლესი საბჭო, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამინისტროები წლების განმავლობაში მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ და შეუფერხებლად გასცემდნენ საჯარო ინფორმაციას. 2019 წლის მონაცემებით მათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები, 90%-დან 100%-მდე მერყეობს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

საჯარო დაწესებულებად ამ ჯგუფში განვიხილავთ სხვა უწყებების მაჩვენებლები 20%-დან 80% მდე მერყეობს. მათ შორის ყველაზე მაღალი 76,15% მიიღო აჭარის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ, ხოლო ყველაზე დაბალი 22,22% - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ.

აჭარის ა/რ-ის მთავრობის და სამინისტროების რეიტინგი

საჯარო დაწესებულება	მთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	12	12	0	0	0	12	100%
აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	12	12	0	0	0	12	100%
აჭარის ა/რ ადმინისტრაციისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	16	15	1	0	0	16	96,88%
აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	14	12	2	0	0	14	92,86%

საჯარო დაწესებულება	მთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	11	9	2	0	0	11	90,91%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	13	10	0	0	3	0	76,15%
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	16	10	0	0	6	10	62,5%
აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი*	16	11	3	1	1	0	46,88%
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	18	3	2	0	13	5	22,22%

ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები

ადგილობრივ თვითმმართველობებში 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, 128 საჯარო დაწესებულებიდან (მერია და საკრებულო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს 2 მუნიციპალიტეტის მერიასა და 5 მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

მონიტორინგის ფარგლებში, 7 მუნიციპალიტეტის მერიამ და 4 მუნიციპალიტეტის საკრებულომ უპასუხოდ დატოვა IDFI-ს ყველა მოთხოვნა.

2019 წელს ქალაქ თბილისის საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით მცირედით გაუმჯობესდა და 90,97% შეადგინა, ხოლო თბილისის მერიის შემთხვევაში 7,45%-ით გაუარესდა და 77,55% შეადგინა.

მერიების და საკრებულოების რეიტინგის პირველი ათეული


საჯარო დაწესებულება	მთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	16	16	0	0	0	16	100%
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია	15	15	0	0	0	15	100%
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	0	0	0	13	100%
ქალაქ ფოთის საკრებულო	11	11	0	0	0	11	100%
ქარაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	0	0	0	11	100%

საპარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უკასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	0	0	0	11	100%
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	0	0	0	10	100%
თყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	16	16	0	0	0	0	99%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	0	0	0	0	99%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია	19	18	1	0	0	19	97,37%

მერიების და საკრებულოების რეიტინგის ბოლო ათეული

საპარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უკასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია	24	0	0	0	24	0	0%
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია	24	0	0	0	24	0	0%
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	24	0	0	0	24	0	0%
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	24	0	0	0	24	0	0%
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	24	0	0	0	24	0	0%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია	24	0	0	0	24	0	0%
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია	24	0	0	0	24	0	0%
შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	0	0	0	19	0	0%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	0	0	0	19	0	0%
ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	0	0	0	19	0	0%
კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	0	0	0	19	0	0%

ქალაქ თბილისის მერიის და საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი



სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციები

2019 წელს სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან, IDFI-ს ყველა მოთხოვნას სრულყოფილად და 10 დღიანი ვადის დაცვით უპასუხა მცხეთა-მთიანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციებმა.

სხვა გუბერნატორების ადმინისტრაციებმა, უმრავლეს შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკამოდ მაღალი ხარისხი აჩვენეს და მათი პროცენტული მაჩვენებელი 85%-იან ნიშნულს აღემატებოდა.

სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების რეიტინგი

საჯარო დანახვა	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	პარსრულ-ყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	13	13	0	0	0	13	100%
სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	12	0	0	0	12	100%
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	11	0	0	0	6	99,45%
სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	10	1	0	0	11	95,45%
კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	10	9	1	0	0	10	95%

საპარო დანებაბულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	14	12	2	0	0	14	92,86%
შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	11	0	0	1	11	90,75%
გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	10	1	0	1	11	87,5%
იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	9	1	0	1	10	86,36%

სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეები

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომების ხარისხი საგრძნობლად გაუარესდა 2015 წლის ოქტომბრიდან. თუკი მანამდე სასამართლოები სრულყოფილი სახით გასცემდნენ გადაწყვეტილებათა ასლებს, შემდგომ პერიოდში დამკვიდრდა გადაწყვეტილებათა გაცემაზე პერსონალურ მონაცემების დაცვის არგუმენტაციაზე მითითებით უარის თქმის პრაქტიკა. საერთო სასამართლოები ფართოდ განმარტავენ პერსონალური მონაცემის ცნებას და დეპერსონალიზაციის შეუძლებლობას, ისინი არ ითვალისწინებდნენ ამა თუ იმ საქმის მიმართ არსებულ განსაკუთრებით მაღალ საჯარო ინტერესს. დარღვეული იყო ბალანსი პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის, რადგან უპირობო უპირატესობა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ენიჭებოდა.

IDFI-მ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით აქტიური მუშაობა 2016 წელს დაიწყო. IDFI მიიჩნევდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. შესაბამისად 2016 წლის 22 ნოემბერს IDFI-მ სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც გაერთიანდა იმავე საკითხთან დაკავშირებით ააიპ „მედიის განვითარების ფონდის“ საკონსტიტუციო სარჩელთან.

2019 წლის 7 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ (IDFI) და ააიპ „მედიის განვითარების ფონდის“ საკონსტიტუციო სარჩელები სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხზე.

დავის საგანი

საკონსტიტუციო სარჩელში IDFI მიუთითებდა, რომ საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, ადგენდა სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის საჯაროობის პრეზუმციას და მათზე წვდომის შეზღუდვის შესაძლებლობას იძლეოდა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, IDFI-ის მიერ გასაჩივრებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ჩანაწერები ადგენდნენ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის ბლანკეტურ შეზღუდვას. ე.ი. კონკრეტული საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შესაძლებლობის გარეშე ზღუდავდნენ სასამართლო აქტის სრულ ტექსტზე ხელმისაწვდომობას. სადავო ნორმების თანახმად, გადაწყვეტილების გამჟღავნება დაუშვებელი იყო მაშინაც, თუ პერსონალური მონაცემები უკავშირდებოდა ყოფილი/ამჟამინდელი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს. ამასთან, ისინი არც იმ შემთხვევებში ითვალისწინებენ პერსონალური მონაცემის შემცველი გადაწყვეტილების გასაჯაროების შესაძლებლობას, როდესაც საქმის მიმართ არსებობდა მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი.

იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება შეიცავს პერსონალურ მონაცემს, სადავო ნორმები ადგენდნენ სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუცემლობის ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, დაინტერესებულ პირებს არ ქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე.

IDFI მიიჩნევდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სასამართლოსადმი ნდობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო და ამ თვალსაზრისით, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია არამხოლოდ სასამართლოს პრაქტიკის განვითარების ზოგადი ტენდენციების შესახებ, არამედ მოსამართლის არგუმენტაციაც და გადაწყვეტილებებიც კონკრეტულ დავებთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს აქტები განეკუთვნება საჯარო დაწესებულებაში არსებულ იმ ტიპის ინფორმაციას, რომელზე ხელმისაწვდომობის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის, მისდამი საზოგადოების ნდობის, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციური ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ საგამონაკლისო შემთხვევებში, გადაწყვეტილებაში ასახული ინფორმაციის სენსიტიურობის გათვალისწინებით, პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად, შესაძლოა, საჭირო გახდეს პირის პერსონალური მონაცემების დაფარვა, თუმცა ამას არ უნდა ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი. სასამართლოს აქტის ღიაობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს რა გავლენას ახდენს პერსონალური მონაცემების გამჟღავნება პირადი ცხოვრების უფლებაზე და გადაწყვეტილების თუ არა იგი სასამართლო აქტის ხელმისაწვდომობაზე საზოგადოების მომეტებულ ინტერესს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო მონესრიგება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ინფორმაციის თავისუფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი) და არაკონსტიტუციურად სცნო იგი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები ძალადაკარგულად ცნო 2020 წლის პირველი მაისიდან და საქართველოს პარლამენტს მისცა ვადა საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოსაწესრიგებლად. თუმცა, პარლამენტს დადგენილ ვადაში საკანონმდებლო ცვლილება არ მიუღია.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის, 4 აპრილის გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის“ (ეროვნული არქივი) წინააღმდეგ. სასამართლომ მოპასუხე მხარეს დაავალა ინფორმაციის გაცემა საარქივო ფონდის დოკუმენტებზე დაშვების შესახებ განხილულ განცხადებათა და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული არქივის განცხადებით, ის არ აწარმოებდა IDFI-ის მიერ მოთხოვნილ სტატისტიკურ მონაცემებს.

მოცემული დავა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, **სასამართლომ დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს სტატისტიკური ინფორმაციის შექმნა და გაცემა; და სასამართლომ ხაზი გაუსვა საარქივო ფონდებთან დაშვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.**

ამასთან დავის პროცესში გამოვლინდა **მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი) მოთხოვნათა დარღვევის სისტემური პრაქტიკა ეროვნულ არქივში.** კერძოდ დადგინდა, რომ ეროვნული არქივი სრულად

არ აღრიცხავს მიღებულ განცხადებებსა და მათთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილებებს. დაწესებულების წარმომადგენლები თავად მიუთითებდნენ იმაზე, რომ ეროვნული არქივში არ არსებობს განცხადებების აღრიცხვისა და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების შენახვის ფორმალიზებული, სტრუქტურირებული სისტემა. დადგინდა, ისიც რომ ეროვნული არქივი უხეშად არღვევს უარის შესახებ გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით გამოცემის ვალდებულებას და არ განმარტავს უარის შესახებ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების პროცედურებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული არქივის ვალდებულებას წარმოდგენდა იმ ინფორმაციის გაცემა, რომელიც ინახებოდა დაწესებულებაში ან რომელზეც მას მიუწვდებოდა ხელი. შესაბამისად ეროვნული არქივს დაევალა ინფორმაციის გაცემა იმ განცხადებებისა და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც თუნდაც მცირე რაოდენობით, თუმცა იყო დაცული საჯარო დაწესებულებაში.

ეროვნული არქივი წარმოადგენს ორგანოს, რომელშიც დაცულია ეროვნული საარქივო ფონდის უდიდესი ნაწილი. ამასთან, სწორედ ეროვნული არქივს აქვს დაკისრებული აღნიშნულ ფონდთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება, საარქივო საქმის მართვა, საქმისწარმოების სრულყოფა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარება. აღნიშნულის ფონზე, განსაკურებით პრობლემურია, რომ არსებული მდგომარეობით ეროვნული არქივი უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2018 წლის 13 დეკემბერს IDFI-მ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა 2015 წლიდან თბილისის საქალაქო სასამართლოდან საბჭოში მიღებული სტატისტიკური მასალები. კერძოდ, **თბილისის საქალაქო სასამართლოს თითოეული მოსამართლის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა და მონაცემები საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის თაობაზე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ IDFI-ს უკანონოდ ეთქვა უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო განცხადების მოთხოვნის პერიოდისთვის აღნიშნულ სტატისტიკას არ აწარმოებდა. შესაბამისად IDFI-იმ 2019 წლის 17 იანვარს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის ბათილად ცნობა და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა, იმ საფუძველით, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი არღვევდა საჯარო

ინფორმაციის მიღების უფლებას. გაცემაზე უარი არღვევდა საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ყოველ 6 თვეში ერთხელ ევალება შეაფასოს მოსამართლეთა საქმიანობის ეფექტურობა. შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დაცულ ღია საჯარო ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავდა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს და ექვემდებარებოდა გაცემას.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 21 თებერვალს სრულად დააკმაყოფილა IDFI-ის ადმინისტრაციული საჩივარი და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირის დაავალა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2019 წლებში


2010 -2019 წლებში, IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 10 წლის დინამიკა, საჯარო დაწესებულებების ჯგუფების მიხედვით.

ამ პერიოდში, IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის **57,963** განცხადება, რომელთაგან პასუხი მიღებულია **48,145** მოთხოვნაზე.

IDFI-ის მიერ 10 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. 2010-2019 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე **გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს იყო**. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 82%-მდე შემცირდა, 2015 წელს - 86%, 2016 წელს-85%, 2017 წელს-88%, 2018 წელს-85%, ხოლო 2019 წელს მიღებული პასუხების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 2%-ით შემცირდა და 83% შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია.


2010-2019 წლებში გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული კასუხები

● გაგზავნილი მოთხოვნა ● მიღებული კასუხი



წელი	საჯარო დაწესებულებები	გაგზავნილი მოთხოვნები	მიღებული კასუხები
2019	284	6 240	5 180
2018	282	6 413	5 454
2017	298	7 728	6 782
2016	294	7 430	6 291
2015	307	8 297	7 122
2014	308	7 878	6 481
2013	224	5 625	5 049
2012	229	5 072	3 449
2011	154	2 740	2 099
2010	21	540	238

მიღებული პასუხების პროცენტული შედარება წლების მიხედვით




2010-2019 წლებში საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (79%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (12%) 2013 წელს იყო. 2014 წელს ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესდა (სრულყოფილი პასუხი - 66%, უპასუხო - 26%). თუმცა მომდევნო წლებში კვლავ დადებითი ტენდენციები შეინიშნებოდა და 2017 წლის მდგომარეობით სრულყოფილი პასუხების წილმა 76%, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების წილმა კი 15% შეადგინა. 2018 წლის შემდეგ ტენდენცია კვლავ უარესდება. შედეგად, 2019 წელს სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 64%-მდე შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 24%-მდე გაიზარდა.

2013 წლის შემდეგ არასრულყოფილი პასუხების და უარის შემთხვევების პროცენტულ მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეიმჩნევა. კერძოდ, არასრულყოფილი პასუხების მაჩვენებელი 6-11%-ის ფარგლებში, ხოლო უარის შემთხვევათა წილი კი 0-2%-ის ფარგლებში მერყეობს.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც უწყებები არ ფლობდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ან არ ქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.

საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხები

● სრულყოფილი ● უპასუხო ● არასრულყოფილი ● უარი




2010-2019 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა საჯარო დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვითაც. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საჯარო დაწესებულებათა ძირითად ჯგუფებში, 2019 წელს წინა წელთან შედარებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა გაუარესებულია. **მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხები 10%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 11%-ით გაიზარდა, სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების სრულყოფილი პასუხები 6%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 4%-ით გაიზარდა.**

სამინისტროების შემთხვევაში, 2019 წელს 3%-ით შემცირდა როგორც სრულყოფილად გაცემული პასუხები, ასევე უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები. ამ ფონზე, არასრულყოფილი პასუხები 5%-ით, ხოლო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები 1%-ით გაიზარდა.

2010-2019 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში სამინისტროებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი წილი (88%) 2013 წელს იყო. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი 74%-დან 83%-მდე მერყეობდა. 2013 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი (74%)-იანი მაჩვენებელი სწორედ 2019 წელზე მოდის. 2013 წლამდე, სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა.


სამინისტროებიდან (სახელმწიფო მინისტრის აკარატიების და აჭარის ა/რ-ის სამინისტროების ჩათვლით) მიღებული პასუხები



2011-2019 წლებში სამინისტროების მსგავსად, მათ დაქვემდებარებულ უწყებებში (სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები) სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი (86%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (5%) 2013 წელს იყო. 2018 წლიდან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი მნიშვნელოვნად უარესდება ამ კატეგორიის საჯარო დაწესებულებებში. მაგალითად, 2017 წელს სრულყოფილი პასუხები შეადგენდა 77%-ს, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები - 15%-ს. 2019 წლის მდგომარეობით, სრულყოფილი პასუხების წილი შეადგენს მხოლოდ 56%-ს, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების - 32%-ს. სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი (32%), ბოლო 10 წლის განმავლობაში 2012 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი შედეგია.

სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებიდან მიღებული პასუხები


● სრულყოფილი
 ● უპასუხო
 ● არასრულყოფილი
 ● უარი



2011-2019 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან სრულყოფილად მიღებული პასუხების ყველაზე მაღალი (75%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა - (13%). 2018 წელს, ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მიღწევაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინსტიტუტის მიერ დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების აქტიურმა გამოყენებამ. კერძოდ, 2018 წელს ყველა იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომელიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხით გაეგზავნა ადმინისტრაციული საჩივარი, რამაც უმეტესწილად დადებითი შედეგი გამოიღო. 2019 წელს ინსტიტუტს მსგავსი მექანიზმებისათვის ადგილობრივი თვითმმართველ ორგანოებში აღარ მიუმართავს, შედეგად უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 11%-ით გაიზარდა, ხოლო სრულყოფილი პასუხები 10%-ით შემცირდა.

თვითმმართველი ერთეულებიდან მიღებული კასუსები

● სრულყოფილი ● უკასუსო ● არასრულყოფილი ● უარი




2010-2019 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის კრაქტიკა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია განცხადების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავ დროს, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს 10 დღიანი ვადა, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არის დიდი მოცულობის, საჭიროებს შეგროვებას და დამუშავებას ან აუცილებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან კონსულტაცია. 10 დღიანი ვადის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2019 წლებში ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო მოცულობითი ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის ვადის დაცვად მივიჩნევდით ინფორმაციის გაცემას ათი სამუშაო დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა გვატყობინებდა თუ არა საჯარო დაწესებულება 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

2010-2019 წლებში განხორციელებული მონიტორინგის თანახმად 10 დღიანი ვადის დაცვით მიღებული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა - 75%, ყველაზე დაბალი კი 2010 წელს - 22%. **წინა წელთან შედარებით საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი 7%-ით გაუარესდა 2019 წელს, რაც უმეტესწილად უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ზრდამ განაპირობა.**



დასკვნა

2019 წელს განხორციელებული IDFI-ის მონიტორინგის თანახმად ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი წინა წელთან შედარებით კვლავ გაუარესდა. მიუხედავად ამისა შენარჩუნებულია გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხების მაჩვენებლის 2014 წლის შემდეგ დამკვიდრებული 80%-იანი ზღვარი, რომელიც უმეტესწილად, ცალკეული საჯარო დაწესებულებების მაღალი ანგარიშვალდებულებით არის განპირობებული. კერძოდ, ისეთი, საჯარო დაწესებულებები როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საჯარო სამსახურის ბიურო, საქპატენტი წლების განმავლობაში ინარჩუნებენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო მაჩვენებელს და ჯეროვნად ასრულებენ საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას. სამწუხაროდ, ცალკეული უწყებების მიერ (მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სისტემა, სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და ა.შ.) წლების განმავლობაში დამკვიდრებული დაბალი ანგარიშვალდებულების პრაქტიკა, უარყოფითად აისახება საქართველოს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელზე.

ბოლო წლებში, ადგილობრივი თვითმმართველობების მთელი რიგი საჯარო დაწესებულებების მხრიდან საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების არასათანადო გააზრებაზე მეტყველებს მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ გაცემის შემთხვევები. 2019 წელს მსგავსი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შერბილებამ, მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველობების უწყებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუარესებას.

განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს 2019 წელს კვლავ იუსტიციის სამინისტროს სრული სისტემის დასახელება ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებებად. იუსტიციის სამინისტროს სისტემის მთავარი ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობის განვითარებაზე ზრუნვა, დემოკრატიული ღირებულებების დაცვის ხელშეწყობა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის განმტკიცებაა. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები თავად იჩენენ უპატივცემულობას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ და უგულებელყოფენ დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო დაწესებულებზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს.

ასევე, 2019 წლის პრაქტიკა ნათლად აჩვენებს სახელმწიფო შპს-ების და ა(ა)პების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებულ არასახარბიელო დამოკიდებულებას. მიუხედავ იმისა, რომ აღნიშნული უწყებები ხშირ შემთხვევაში ასრულებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, განკარგავენ საჯარო ფინანსებს, IDFI-ს მიერ გაგზავნილ მოთხოვნებს ძირითად შემთხვევაში ან უპასუხოდ ტოვებენ ან განმარტავენ რომ ისინი არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს და მათზე არ ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. ასეთი გაუმჭვირვალე მართვის სტილი კი, მნიშვნელოვნად ზრდის კორუფციის, ნეპოტიზმის და ინტერესთა შეუთავსებლობის რისკებს.